

## საქართველოს სპორტსმენის კიდევ ერთი ოქროს მედალი

### ბრწყინავს...

ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის საბჭოთა ოსტატებმა. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა საქართველოს სპორტსმენის ვიქტორ კრატასიუკის გამარჯვება, რომელმაც ნიკოლოზ გორბაჩოვთან (ბელორუსია) ერთად ყველას აჯობა ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში.

ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ოთხადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზენი: იური ფილატოვი, იური სტეცენკო, ვლადიმერ მოროზოვი და ვალერი დიდენკო.

ასევე შესანიშნავად იასპარეზეს სხვა საბჭოთა ნიჩბოსნებმაც, რომელთა გამარჯვების ამბავს მე-8 გვერდზე მოთავსებულ „მხოლოდ ტექნიკურ შედეგებში" შეიტყობთ.

München-72

## 8 სექტემბერს:

# 3 ოქრო!

- სსრ კავშირის ნაკრები (ქალები) — ფარიკაობა
- ნ. ავილოვი — ათჭიდი
- ვ. მანკინი — აფროსნობა

**ჩემპიონები**

სურათზე: ნ. გორბაჩოვი (მარცხნივ) და ვ. კრატასიუკი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 180 (4690)

1972 წ. 10 სექტემბერი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## ჩემპიონები



ე. ბელოვა



გ. გოროხოვა



ა. ზაბელინა



ტ. სამუსენკო

## მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## ოლიმპიადებში გამოსვლა აეკრძალათ

მიუნხენი, 8 სექტემბერი. 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიადის პრიზიორებს — ამერიკელ ზანგებს ვინსენტ მეტიუზსა და უეინ კოლეტს ამიერიდან ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა აეკრძალათ. სპორტსმენების მიმართ ეს სანქცია იხმარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, რომელმაც მათ დაჯილდოების ცერემონიალისადმი უპატივცემლობა დააბრალა.

მაგრამ ამ მორბენალთა მიერ ოლიმპიური ტრადიციების დარღვევაში როდია ძაღლის თავი დამარხული. საპატიო კვარცხლბეკზე მდგარი ეს სპორტსმენები მართლაც ყოველნაირად გამოხატავდნენ თავიანთ აგდებულ დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნისა და დროშისადმი (მათ ზურგიც კი შეაქციეს დროშას).

მათმა საქციელმა პრესის გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია. როცა მიუნხენის გაზეთ „ტც"-ს რეპორტიორმა მეტიუზს ჰკითხა, ნუთუ თქვენთვის ძვირფასი არ არის ოქროს მედალიო, ზანგმა სპორტსმენმა ასე უპასუხა: „ოთხი წლის წინათ მე ასეთივე ჯილდო მივიღე ესტაფეტაში მონაწილეობისთვის, მაგრამ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში დავბრუნდი, ისევ უმუშევრად დავრჩი".

ამ ინციდენტთან დაკავშირებით გვახსენდება 1968 წლის ოლიმპიადაში ზანგური წარმოშობის ამერიკელი სპორტსმენების პროტესტი შეერთებულ შტატებში რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. მაშინ ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ამბოხებულნი ოლიმპიური სოფლიდან განდევნეს. ახლა კი მათ „დამნაშავენი" სოკ-ის მოღვაწეთა ერთი ნაწილის დახმარებით დასაჯეს. უფრო მეტიც: სოკ-მა მუქარით განაცხადა, რომ ამგვარი საქციელის გამეორების შემთხვევაში სპორტსმენებს მედლებს ჩამოართმევს. (ტასი).

# დღე მეთოთხმეტე

მიუნხენი, 8 სექტემბერი. ოლიმპიური თამაშების მეთოთხმეტე დილა მიეძღვნა წინასწარ შეჯიბრებებს, რომელთა ქურაში გამოწრთობილი სპორტსმენები ფინალში გადიან. მაგრამ აქაც კი — წინასწარ ტურნირებში — არ შეიძლება თავდაზოგილად ასპარეზობა და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ძალ-ღონის შენახვა: მეტოქეები ძალიან ძლიერი არიან და ფინალის საგზურისთვის მთელის ძალითა და უნარით საჭიროა გამოსვლა.

საბჭოთა რაპირისტ ქალთა გუნდმა ნახევარფინალში რუმინეთის გუნდს სძლია — 9:4. საღამოს იგი გადამწყვეტ მატჩში შეხვდება უნგრელებს, რომლებმაც იტალიის ნაკრები დაამარცხეს — 9:6.

ჩატარდა დაშნით მოფარიკავეთა წინასწარი გუნდური შეჯიბრების პირველი ორი წრე. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ერთნაირი ანგარიშით (13:3) აჯობეს კანადისა და იტალიის კოლექტივებს.

ინგლისური პარკის მდელოზე დილიდანვე გაისმოდა მშვილდების წუილი. პროგრამაში იყო მორიგი დისტანცია — 50 მეტრზე სროლა. ქალთა შორის კვლავინდებურად ლიდერობს ი. შიდლოვსკა (პოლონეთი) — 894 ქულა. II ადგილზე ისევ მსოფლიო ჩემპიონი ე. გაპჩენკოა — 870. მასთან სულ ახლოს არიან თანაგუნდელები — ევროპის ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე (862) და ა. პეუნოვა (860). ვაჟებში ლიდერობას არ თმობს მსოფლიო ჩემპიონი ჯ. უილიამსი (აშშ), რომელსაც 930 ქულა აქვს. საბჭოთა სანეულიდან საუკეთესო — მ. პეუნოვი ამ ვარჯიშის შესრულების შემდეგ V ადგილზეა — 879.

უაღრესად მწვავე გამოდგა 30-მეტრიან მანძილზე შეჯიბრებაც. ახლა გაპჩენკოს შიდლოვსკასთან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. შეინარჩუნეს პოზიციები სხვა საბჭოთა მშვილდოსანმა ქალებმაც. პეუნოვი კი კიდევ უფრო ახლოს „მიეპარა" უილიამსს — ახლა 6 ქულით ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონს. ვ. სიდორუკმა 1205 ქულა დააგროვა (მეშვიდე შედეგი), მ. ვაიკიარვმა — 1194 (მეთერთმეტე შედეგი).

საღამოს შეჯამდა მშვილდოსანთა ასპარეზობის ორი დღის შედეგები. ვაჟებში დამაჯერებლად ლიდერობს უილიამსი — მან 1268 ქულა დააგროვა და 32 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს. ამერიკელი სპორტსმენის შედეგი მსოფლიო რეკორდია, რომელიც ძველს 14 ქულით აღემატება.

ქალთა შორის კვლავ წინაა შიდლოვსკა — 1224 ქულა. II ადგილს ინარჩუნებს გაპჩენკო — 1201. III ადგილზეა ლ. მაიერი (აშშ) — 1200 ქულა.

მოასპარეზეებს დარჩათ ბოლო 144-144 გასროლა.

თითქოს ხის ტოტზე ეძინათ ათჭიდელებს — ოლიმპიურ სტადიონზე ისინი დილაადრიანად მივიდნენ, რათა თავიანთი შეჯიბრების დასკვნითი დღის მძიმე სამუშაო დაეწყოთ. პირველად 110 მეტრზე თარჯრბენში იასპარეზეს. ამ სახეობაში ტურნირმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ლიდერთა ჯგუფში: I ადგილზე მყოფი ი. კირსტი (გდრ) დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა. ასევე შეწყვიტა ასპარეზობა გფრ-ის სამივე ათჭიდელმა. 6 სახეობის შემდეგ დაწინაურდა ოდესელი ნ. ავილოვი.

ოლიმპიადის მეთოთხმეტე დღის პირველი ჩემპიონი გახდა ა. ერჰარდი (გდრ), რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო 100 მეტრზე თარჯრბენი. საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობაში არ გამოსულან.

სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში სამმა მძლეოსანმა 8-მეტრიან ზღვარს გადააცილა, თანაც, ახალგაზრდა ამერიკელმა რ. უილიამსმა დიდებულ შედეგს მიაღწია — 834 სმ. ლ. ბარკოვსკი 798 სანტიმეტრზე გადახტა, ვ. პოდლუჟნი — 791-ზე, ი. ტერ-ოვანესიანი — 777-ზე. პირველი ორი ფინალში იასპარეზებს.

V-VIII ადგილებისთვის ტურნირში ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ბრაზილიელებს სძლია (3:0), რუმინელებმა კი ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს სამხრეთ კორეის ნაკრები. აი, როგორ არიან ახლა განლაგებულნი

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

München -72

## ბოლო მატჩის წინ

აუგსბურგი, 8 სექტემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა თავის ბოლო ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 4:0 დაამარცხა დანიის გუნდი და ახლა ბრინჯაოს მედლებისთვის ითამაშებს.

საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა თავიდან ბოლომდე აშკარა იყო. მე-19 წუთზე კოლოტოვმა ანგარიში გახსნა, შემდეგ კი ბურთები გაიტანეს სემიონოვმა (27-ე წთ.), ბლოხინმა (55) და საბომ (87).

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: პილგუი, ისტომინი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ლოვჩევი, საბო, კუკსოვი, კოლოტოვი, ევრიუჟიხინი, სემიონოვი (ანდრიასიანი), ბლოხინი (ოლშანსკი).

ოლიმპიურ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა ისე ვერ ითამაშა, როგორც მისგან მოელოდნენ. განსაკუთრებით ცუდად მოქმედებდა ნახევარდაცვა. კოლოტოვი და საბო ზოგიერთ მატჩში დაღლილი ჩანდნენ, კუკსოვი გაჭირვებით ასრულებდა თავის მოვალეობას, ზანაზანიანი და ანდრიასიანი კი უმეტეს დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებდნენ.

აშკარად მოუმზადებელი ჩამოვიდა ოლიმპიადაზე თავდამსხმელი სემიონოვი. იგი ბევრ მეტოქეს ჩამოუვარდებოდა სისწრაფეში, რის გამოც საბჭოთა ნაკრების იერიშები ხშირად იფუშებოდა. ბლოხინის გარდა, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა, თავდამსხმელთა შორის თავი ვერავინ გამოიჩინა. მხოლოდ დაცვამ ითამაშა საიმედოდ.

16-წლიანი „შესვენების“ შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ისევ გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებში, თუმცა ჯერჯერობით არაფრით უსახელებიათ თავი. მათ კიდევ აქვთ ერთი შანსი გაახარონ თავიანთი გულშემატკივრები: გაიმარჯვონ III ადგილისთვის მატჩში.

ა. ლევინსონი.
(საკდესის სპეც. კორ.).

• • •

უაღრესად მწვავე და საინტერესო გამოდგა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე 8 სექტემბერს გვიან საღამოს გამართული მატჩი: გფრ — გდრ.

გაიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა — 3:2. ბურთები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — პომერენკემ, შტრაიხმა და ფოგელმა, დასავლეთგერმანელთაგან — ჰიონესმა და ჰიცფელდმა.

ამრიგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები III ადგილისთვის მატჩში სსრ კავშირის ნაკრებს შეხვდებიან.

ამავე დღეს უნგრეთის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 (1:0) დაამარცხა მექსიკის გუნდი, პოლონელებმა კი იოლად სძლიეს მაროკოელებს — 5:0 (3:0).

უნგრელებმა და პოლონელებმა I ადგილები დაიკავეს თავიანთ ჯგუფებში და მთავარ ფინალურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

## ჩემპიონები



სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი — საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი. მარჯვნიდან პირველი — ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ახვლედიანი.

საკდესის ტელეფოტო.

## დღე მეთოთხმეტე

დასასრული

ეს გუნდები: 5. ჩეხოსლოვაკია, 6. ბრაზილია, 7. რუმინეთი, 8. სამხრეთ კორეა. დღეს საღამოს ორი ნახევარფინალური მატჩია: საბჭოთა კავშირი — გდრ და ბულგარეთი — იაპონია.

ობერშლაისჰაიმის არხის ცისფერ ტრასაზე ფინალის საგზურები გაითამაშეს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის ოსტატებმა. ყველა ნახევარფინალური სერია, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მათი გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, სსრ კავშირის წარმომადგენლები პროგრამის



ნ. ავილოვი

შვიდივე სახეობაში იბრძოლებენ მედლებისთვის. სპორტული მიმომხილველების აზრით, ფავორიტების — საბჭოთა ნიჩბოსნების მთავარი მეტოქეები გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ისა და შვეციის წარმომადგენლები არიან.

ზუსტად 11 საათზე ადგილობრივი დროით ჩქაროსნულმა ტელეტაიპმა პრეს-ცენტრში მდებარე საკდესის ოთახში მშრალი, მაგრამ ჩვენთვის სასიხარულო ცნობა დაბეჭდა: ვ. მანკინი თავის „მატროსთან“ ვ. დირდირასთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა „ტემპესტის“ კლასის იახტებით რბოლაში. ეს ოქროს მედალი 32-ეა საბჭოთა გუნდისთვის ამ ოლიმპიადაში (წინა ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის დელეგაციამ სამით ნაკლები ოქრო მოიპოვა). მანკინის ნავი კილის ყურეში გამართულ შვიდ რბოლაში თითოჯერ იყო ფინიშთან I, II, IV და VIII ადგილებზე, სამჯერ კი III. ყველაზე ცუდი რბოლის შედეგი ჩათვლაში არ შედის, ამიტომ საბჭოთა ეკიპაჟს სულ 28,1 საჯარიმო ქულა დაუგროვდა.

ვ. მანკინი საბჭოთა საიალქნო სპორტის ისტორიაში პირველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. წინათ იგი „ფინის“ კლასში გამოდიოდა და 1968 წლის ოლიმპიადაში მოიპოვა ოქროს მედალი.

„სთლინგის“ კლასის იახტებით შეჯიბრებაში საბჭოთა ეკიპაჟმა (მესაჭე — რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტ. პინეგინი) VII ადგილი დაიკავა, ხოლო „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში ვ. ლეონტიევმა და ვ. ზუბანოვმა VI ადგილი აიღეს.

... საბჭოთა აფროსნებისა და ათლეტების ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ (ავილოვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა ათჭიდში, ხოლო უკანასკნელი სახეობის — 1500 მეტრზე რბენის წინ VIII ადგილზე მყოფმა ლ. ლიტვინენკომ საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიგო.) სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს — რაპირისტ ქალთა გუნდმა I ადგილისთვის უაღრესად მწვავე ბრძოლაში უნგრელთა ნაკრები დაამარცხა — 9:5. ეს იყო მაღალი ოსტატობისა და ნებისყოფის სიმტკიცის ნამდვილი დემონსტრაცია. მაშინ, როცა ანგარიში 4:1 გახდა უნგრელთა სასარგებლოდ, საბჭოთა მოფარიკავეებმა გამარჯვებისკენ დაუცხრომელი სწრაფვა გამოავლინეს და ზედიზედ 6 ორთაბრძოლა მოიგეს. ეს იყო აშკარა გარდატეხის მომენტი...

მაგრამ საღამოს გამართულმა ყველა შეჯიბრებამ როდი მოგვიტანა სიხარული. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი — მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დამარცხდა ნახევარფინალურ მატჩში მსოფლიო ჩემპიონთან — გდრ-ის ნაკრებთან — 1:3 (6:15, 8:15, 15:13, 9:15). ახლა საბჭოთა ფრენბურთელებს ბრინჯაოს მედლებისთვის თამაში უწევთ ბულგარეთის ნაკრებთან, რომელმაც დრამატულ ბრძოლაში ბოლო წუთებზე (იგი წინ იყო — 11:8) წააგო შეხვედრა იაპონელებთან — 2:3 (15:13, 15:9, 9:15, 9:15, 12:15).

სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრები თავდაპირველად ოლიმპიური ტურნირის ფავორიტად არც ითვლებოდა, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე მისი „აქციები“ სულ უფრო მაღლა იწევდა. დღეს საღამოს მან თავის ჯგუფში ბოლო შეხვედრა ჩაატარა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. წარმატების შემთხვევაში ფინალის გზა ხსნილი იყო. სამისოდ თამაშის ფრედ დამთავრებაც კმაროდა. მაგრამ აი, საბჭოთა გუნდმა წააგო — 12:15 (7:7) და ახლა, დიდი-დიდი, V ადგილის დაკავება შეუძლია.

ეს იყო დასანანი წაგება თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ხელბურთელებმა სამი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს. ისინი თითქმის მთელი მატჩის მსვლელობაში მდევრების როლში გამოვიდნენ და მხოლოდ შესვენებამდე დაწინაურდნენ ერთხელ — 6:4. მეორე ტაიმში მათი მეტოქეები ისევ წინ გავიდნენ (10:7), მაგრამ მოსკოველი კულიოვის მეცადინეობით ანგარიში გათანაბრდა — 10:10. მერე ჩეხოსლოვაკიის გუნდი კვლავ დაწინაურდა.

რინგზე იმედის გაცრუების შემდეგ ძალიან გაგვახარა ორმა საბჭოთა მოკრივემ, რომლებიც არა მარტო წარმატებით მივიდნენ ნახევარფინალამდე, არამედ ფინალის საგზურებიც მოიპოვეს. ესენი არიან ვ. ლემეშევი (75 კგ-მდე) და ბ. კუზნეცოვი (57 კგ-მდე). პირველმა საინტერესო ბრძოლაში აშკარად დაჯაბნა ამერიკელი მ. ჯონსი, მეორემ კი გამოცდილ მოკრივეს, უნგრელ ა. ბოტოშს სძლია. ფინალში ლემეშევი ფინელ რ. ვირტანენს შეხვდება, კუზნეცოვი კი მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, კენიელ ფ. ვარუინგეს.

• • •

„ურჩხულის“ კლასში გაიმარჯვა ავსტრალიელმა აფროსანმა ჯონ-ბრიუს კუინომ.

ვ. კუკუშკინი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

## კუბელი კალათბურთელების ბრინჯაო

მიუნხენი, 8 სექტემბერი. კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი, ანუ მცირე ფინალი, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ერთობ დრამატული გამოდგა. როგორც ცნობილია, ნახევარფინალში იტალიელებმა ფარ-ხმალი დაყარეს აშშ-ს კალათბურთელებთან, კუბის ნაკრები კი საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრაში დამარცხდა.

იტალიისა და კუბის გუნდების მატჩში მთავარი ბრძოლა ბოლო წუთებზე გაჩაღდა. მანამდე უპირატესობა ცვალებადი იყო, მაგრამ 37-ე წუთისთვის იტალიელები 3 ქულით დაწინაურდნენ — 63:60. კუბელებმა რამდენიმე მძაფრი შეტევა განავითარეს და სამჯერ წარმატებას მიაღწიეს. ახლა უკვე ისინი დაწინაურდნენ — 66:63. იტალიის ნაკრების წევრმა ბარივიერამ მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა — 65:66 და... კუბელებმა იქვე დაკარგეს ბურთი. იტალიის გუნდს ერთხელ და საბოლოოდ მიეცა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ თავდამსხმელებმა იჩქარეს, უზუსტოდ ითამაშეს და დროც ამოიწურა.

თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა ოლიმპიური კალათბურთის ისტორიაში პირველად დაიმსახურეს ბრინჯაოს მედლები. იტალიელები IV ადგილზე დარჩნენ.

## გფრ-ის პრესა ხოტბას ასხამს

მიუნხენი. 8 სექტემბერი. დასავლეთგერმანული გაზეთები ხოტბას ასხამენ საბჭოთა ფრენბურთელ ქალებს, რომლებმაც გუშინ გვიან საღამოს უაღრესად მწვავე ბრძოლაში სძლიეს იაპონიის ძლიერ გუნდს. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა ოქროს მედლები მოიპოვეს „ფინალურ თამაშში, რომელიც არაჩვეულებრივად მაღალ დონეზე ჩატარდა და დრამატიზმით იყო აღსავსე“. „4 ათასზე მეტი მაყურებელი, რომლებმაც პირთამდე აავსეს დარბაზი, დიდ სპორტულ მოვლენას ელოდნენ და არც გაწბილებულან, — წერს გაზეთი. — ამაზე წარმტაცი ფინალი მართლაც წარმოუდგენელია“.

დპა-ს სააგენტოს კომენტატორი საბჭოთა გუნდის წარმატებას განიხილავს, როგორც „გასაოცარი სიმშვიდისა და საკუთარი ძალის რწმენის გამარჯვებას იაპონელთა დაუოკებელ ტემპერამენტთან ჭიდილში“.

მიუნხენის გაზეთი „ტც“ კომენტარს უძღვნის ბირთვის კვრაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ნ. ჩიჟოვას გამოსვლას. გაზეთი წერს: „თავისი მსოფლიო რეკორდით საბჭოთა მძლეოსანმა, ევროპის ჩემპიონმა ფანტასტიკური ზღვარი გადალახა“. ეს გაზეთი ა. ბონდარჩუკის შესანიშნავ წარმატებაზეც წერს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მტყორცნელმა პირველივე ცდაზე „თავზარი დასცა ყველა მეტოქეს“. „ამ სპორტსმენმა, — აღნიშნავს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“, — ცნობილი ლათინური გამოთქმა გაგვახსენა: მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა“. გაზეთის აზრით, ახლა მსოფლიოში არ არის სპორტსმენი, ვისაც საბჭოთა უროს მტყორცნელის დამარცხების შანსი ჰქონდეს.

### ჩემპიონები



კ. კეინო (კენია)
(3000 მეტრზე წინაღობებით რბენა)



კ. დიბიასი (იტალია)
(კოშკიდან წყალში ხტომა)

**ბოლო ფეხბურთის ამბები...**

### ფეხბურთი

ნახევარფინალური ჯგუფი „ა“. უნგრეთი — გდრ 2:0, უნგრეთი — მექსიკა 2:0, უნგრეთი — გფრ 4:1, გდრ — მექსიკა 7:0, გდრ — გფრ 3:2, გფრ — მექსიკა 1:1.

გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 8—1 | 6 |
| გდრ | 2 | 0 | 1 | 10—4 | 4 |
| გფრ | 0 | 1 | 2 | 4—8 | 1 |
| მექსიკა | 0 | 1 | 2 | 1—10 | 1 |

ნახევარფინალური ჯგუფი „ბ“. პოლონეთი — სსრ კავშირი 2:1, პოლონეთი — მაროკო 5:0, პოლონეთი — დანია 1:1, სსრ კავშირი — მაროკო 3:0, სსრ კავშირი — დანია 4:0, დანია — მაროკო 3:1.

გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 8—2 | 5 |
| სსრკ | 2 | 0 | 1 | 8—2 | 4 |
| დანია | 1 | 1 | 1 | 4—6 | 3 |
| მაროკო | 0 | 0 | 3 | 1—11 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიუნქენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# ჯემალ მეგრელიშვილი ფინალისკენ მიიწევს

**მიუნხენი, 8 სექტემბერი.** „კლასიკოსებმა" ოლიმპიური ტურნირის სამი წრე განვლეს. სუსტად გამოვიდნენ უმჩატესი და მჩატე წონების საბჭოთა ათლეტები. მინსკელმა სტუდენტმა, მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ზუბკოვმა (48 კგ) ზედ სტარტზე წააგო ორი შეხვედრა და ასპარეზობას გამოეთიშა. მაყურებლებში გადაინაცვლა ულიანოვსკელმა ვ. კონსტანტინოვმაც (52 კგ). მართალია, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა პირველი ჭიდილი მოიგო, მაგრამ მეორე და მესამე წრეებში დამარცხდა და ოლიმპიური სარბიელი დატოვა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში საბჭოთა მოჭიდავეები სამი წრის შემდეგ განაგრძობენ ასპარეზობას, თუმცა ყველას ერთნაირი მდგომარეობა როდი აქვს.

**57 კგ.** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ტაშკენტელი რ. კაზაკოვი 3 საჯარიმო ქულით იბრძვის. ამ წონაში ერთპიროვნული ლიდერია ი. ვარგა (უნგრეთი), რომელმაც სამივე შეხვედრა წმინდად მოიგო.

**62 კგ.** სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი ჯ. მეგრელიშვილი დამაჯერებლად მიიწევს ფინალისკენ. პირველი ორი ბრძოლა მან ვადამდე დაამთავრა, მესამე წრეში კი ქულებით გამარჯვებას დასჯერდა. მეგრელიშვილს მხოლოდ 1 საჯარიმო ქულა აქვს.

**68 კგ.** მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი შ. ხისამუტდინოვი 3 საჯარიმო ქულით განაგრძობს ბრძოლას.

**74 კგ.** კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. იგუმენოვი. სამი წრის შემდეგ მას 3 საჯარიმო ქულა ჰქონდა, მაგრამ ვარჯიშის დროს დაშავდა და ახლა გაურკვეველია, შეძლებს თუ არა ჭიდაობას.

**82 კგ.** ასევე 3 საჯარიმო ქულა აქვს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ალმაათელ ა. ნაზარენკოს.

**90 კგ.** საპრიზო ადგილზე გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს მეორე ალმაათელიც, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვ. რეზანცევი. მან ორი ბრძოლა მოიგო ქულებით და ერთიც — წმინდად.

**100 კგ.** სამი შეხვედრა — სამი წმინდა გამარჯვება: ჯერჯერობით ასეთია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, როსტოველი ნ. იაკოვენკოს ოლიმპიური ბალანსი. საბჭოთა ათლეტი ამ წონაში ერთპიროვნული ლიდერია.

**მძიმე.** ამერიკელ ქ. ტეილორთან წმინდა გამარჯვების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ვ. დიტრიხმა (გდრ). პირველი წარმატებით იდაფრთოვანებულმა მომდევნო ორი წრეც უდანაკარგოდ განვლო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ლენინგრადელ ა. როშჩინს 1 საჯარიმო ქულა აქვს.

## ადგილები, მედლები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

**მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის**

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 24 | 26 | 21 | 23 | 16 | 6 | 71 | 489 |
| 2. სსრ კავშირი | 27 | 21 | 16 | 12 | 14 | 8 | 64 | 428 |
| 3. გდრ | 16 | 14 | 19 | 15 | 13 | 18 | 49 | 345,75 |
| 4. გფრ | 8 | 7 | 9 | 11 | 14 | 10 | 24 | 191,5 |
| 5. იაპონია | 12 | 6 | 9 | 8 | 6 | 5 | 27 | 188,5 |
| 6. უნგრეთი | 3 | 7 | 12 | 4 | 3 | 6 | 22 | 128 |
| 7. ავსტრალია | 6 | 5 | 2 | 6 | 3 | 2 | 13 | 101 |
| 8. იტალია | 5 | 3 | 7 | 2 | 2 | 3 | 15 | 90,5 |
| 9. პოლონეთი | 4 | 3 | 2 | 7 | 5 | 6 | 9 | 88 |
| 10. ბულგარეთი | 3 | 7 | 1 | 5 | 2 | 2 | 11 | 80,5 |
| 11. ინგლისი | 3 | 3 | 4 | 4 | 2 | 4 | 10 | 71,5 |
| 12. შვეცია | 4 | 2 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 71 |
| 13. ჩეხოსლოვაკია | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | 4 | 6 | 49 |
| 14. საფრანგეთი | 1 | 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 8 | 47 |
| 15. რუმინეთი | — | 1 | 3 | 4 | 4 | 4 | 4 | 41 |
| 16. კანადა | — | 2 | 2 | 4 | 2 | 2 | 4 | 35 |
| 17-18. ნორვეგია | 2 | 1 | — | 1 | 1 | — | 3 | 24 |
| 17-18. ფინეთი | 1 | — | 2 | 2 | — | 3 | 3 | 24 |
| 19. ჰოლანდია | 1 | — | 1 | 1 | 2 | 5 | 2 | 23 |
| 20. კენია | 1 | 1 | 1 | — | 1 | 1 | 3 | 19 |
| 21-23. შვეიცარია | — | 2 | — | 1 | — | 4 | 2 | 17 |
| 21-23. ავსტრია | — | 1 | 2 | — | 1 | 2 | 3 | 17 |
| 21-23 ირანი | — | 1 | 1 | 1 | 3 | — | 2 | 17 |
| 24. კსდრ | 1 | — | 2 | — | — | 2 | 3 | 16,5 |
| 25. ახალი ზელანდია | 1 | 1 | — | — | — | 2 | 2 | 14 |
| 26. ბრაზილია | — | — | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 13.5 |
| 27. მონღოლეთი | — | 2 | — | 1 | — | — | 2 | 13 |
| 28. კუბა | — | — | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 12,5 |
| 29. დანია | 1 | — | — | 1 | — | 1 | 1 | 11 |
| 30. თურქეთი | — | 1 | 1 | — | 1 | — | 2 | 10,5 |
| 31. ბელგია | — | 1 | 1 | — | — | — | 2 | 9 |
| 32-33. უგანდა | 1 | — | — | — | — | — | 1 | 7 |
| 32-33. იუგოსლავია | — | — | — | — | 3 | 1 | — | 7 |
| 34-35. იამაიკა | — | — | 1 | — | 1 | — | 1 | 6 |
| 34-35. ინდოეთი | — | — | — | 2 | — | — | — | 6 |
| 36-40. არგენტინა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. ესპანეთი | — | — | — | 1 | 1 | — | — | 5 |
| 36-40. კოლუმბია | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. ლიბანი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. სამხრეთ კორეა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 41. ეთიოპია | — | — | 1 | — | — | — | 1 | 4 |
| 42. ეკვადორი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 43. საბერძნეთი | — | — | — | — | 1 | 1 | — | 2,75 |
| 44-45. ბირმა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 44-45. მექსიკა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 46-48. განა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 46-48. პუერტო-რიკო | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 46-48. სენეგალი | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილი არ არის 100 კმ-ზე გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში VI ადგილზე გასული გუნდის შედეგი.



ლეგენდარული ზანგი მძლეოსანი, ბერლინის ოლიმპიადის (1936 წ.) ჩემპიონი ჯ. ოუენსი (აშშ) ოლიმპიურ სოფელში.



### ფრენბურთი

### ქალები

**ნახევარფინალური შეხვედრები**

სსრ კავშირი — კსდრ 3:1, იაპონია — სამხრეთ კორეა 3:0.

**ფინალი**

სსრ კავშირი — იაპონია 3:2.

**შეხვედრა III ადგილისთვის**

კსდრ — სამხრეთ კორეა 3:0.

### ვაჟები

**წინასწარი ტურნირები**

„ა" ჯგუფი. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია 3:0, სსრ კავშირი — პოლონეთი 3:2, სსრ კავშირი — ტუნისი 3:0, სსრ კავშირი — ბულგარეთი 3:1, სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 3:0, ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 3:2, ბულგარეთი — პოლონეთი 3:2, ბულგარეთი — ტუნისი 3:0, ბულგარეთი — სამხრეთ კორეა 3:1, ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი 3:0, ჩეხოსლოვაკია — ტუნისი 3:0, ჩეხოსლოვაკია — სამხრეთ კორეა 3:0, სამხრეთ კორეა — პოლონეთი 3:1, სამხრეთ კორეა — ტუნისი 3:0, პოლონეთი — ტუნისი 3:0.

**გათამაშების ცხრილი**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 0 | 5 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 3 |
| სამხრეთ კორეა | 2 | 3 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 4 | 1 |
| ტუნისი | 0 | 5 | 0 |

„ბ" ჯგუფი. იაპონია — რუმინეთი 3:0, იაპონია — ბრაზილია 3:0, იაპონია — გფრ 3:0, იაპონია — გდრ 3:0, იაპონია — კუბა 3:0, გდრ — რუმინეთი 3:0, გდრ — ბრაზილია 3:1, გდრ — გფრ 3:0, გდრ — კუბა 3:0, რუმინეთი — ბრაზილია 2:3, რუმინეთი — გფრ 3:0, რუმინეთი — კუბა 3:0, ბრაზილია — გფრ 3:2, ბრაზილია — კუბა 2:3, გფრ — კუბა 2:3.

**გათამაშების ცხრილი**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| იაპონია | 5 | 0 | 5 |
| გდრ | 4 | 1 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 3 | 2 |
| ბრაზილია | 2 | 3 | 2 |
| კუბა | 2 | 3 | 2 |
| გფრ | 0 | 5 | 0 |

**ნახევარფინალური შეხვედრები**

იაპონია — ბულგარეთი 3:2, გდრ — სსრ კავშირი 3:1.

### 8 სექტემბერი

**მძლეოსნობა. ათჭიდი.**

1. ნიკოლოზ ავილოვი — 8454 ქულა (მსოფლიო რეკორდი): 100 მ — 11,0; სიგრძე — 768 სმ; ბირთვი — 14,36 მ; სიმაღლე — 212 სმ; 400 მ — 48,5, 110 მ თარჯრბენი — 14,31; ბადრო — 46,98 მ; ჭოკი — 455 სმ; შუბი — 61,66 მ; 1500 მ — 4.22,8; 2. ლეონიდ ლიტვინენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 8035; 3. რიშარდ კატუსი (პოლონეთი) — 7984.

**ფარიკაობა, რაპირა. ქალები. გუნდური პირველობა.**

1. სსრ კავშირი (ელენა ბელოვა, ალექსანდრა ზაბელინა, გალინა გოროხოვა, ტატიანა სამუსენკო); 2. უნგრეთი; 3. რუმინეთი.

**აფროსნობა. „ფინის" კლასი.**

1. სერჟ მაური (საფრანგეთი); 2. ილიას ჰაციპავლისი (საბერძნეთი); 3. ვიქტორ პოტაპოვი (სსრ კავშირი).

**„ტემპესტის" კლასი.**

1. ვალენტინ მანკინი (სსრ კავშირი); 2. ალან უარენი (დიდი ბრიტანეთი); 3. გლენ ფოსტერი (აშშ).

**„სოლინგის" კლასი.**

1. ჰარი მელჯესი (აშშ); 2. სტიგ ვენერსტრემი (შვეცია); 3. დევიდ მილერი (კანადა).

**„მფრინავი ჰოლანდიელი".**

1. როდნეი პატისონი (დიდი ბრიტანეთი), 2. ივ პაჟო (საფრანგეთი); 3. ული ლიბორი (გფრ).

### 9 სექტემბერი

**ნავიგარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. ერთადგილიანი ნავიგარა. ქალები.**

1. იულია რიაბჩინსკაია (სსრ კავშირი) — 2.03,17; 2. მიკე იაპისი (ჰოლანდია) — 2.04,03; 3. ანა პფეფერი (უნგრეთი) — 2.05,50.

**ერთადგილიანი ნავიგარა. ვაჟები.**

1. ალექსანდრე შაპარენკო (სსრ კავშირი) — 3.48,06; 2. როლფ პეტერსონი (შვეცია) — 3.48,35; 3. გეზა ჩაპო (უნგრეთი) — 3.49,38.

**ორადგილიანი ნავიგარა. ქალები.**

1. ლიუდმილა პინაევა და ეკატერინა კურიშკო (სსრ კავშირი) — 1.53,50; 2. ილზე კაშუბე და პეტრა გრაბოვსკი (გდრ) — 1.54,30; 3. მარია ნიკიფოროვა და ვიქტორია დუმიტრუ (რუმინეთი) — 1.55,01.

**ორადგილიანი ნავიგარა. ვაჟები.**

1. ნიკოლოზ გორბაჩოვი და ვიქტორ კრატასიუკი (სსრ კავშირი) — 3.31,23; 2. იოჟეფ დემე და იანოშ რატკაი (უნგრეთი) — 3.32,00; 3. ვლადისლავ შუშკევიჩი და რაფაელ პიზჩი (პოლონეთი) — 3.33,83.

**ერთადგილიანი კანოე.**

1. ივან პაცაიკინი (რუმინეთი) — 4.08,94; 2. ტომაშ ვიხმანი (უნგრეთი) — 4.12,42; 3. დეტლეფ ლიოვე (გფრ) — 4.13,63... 5. ვ. იურჩენკო (სსრ კავშირი) — 4.14,43.

**ორადგილიანი კანოე.**

1. ვლადას ჩესიუნასი და იური ლობანოვი (სსრ კავშირი) — 3.52,60; 2. ივან პაცაიკინი და სერგეი კოვალევი (რუმინეთი) — 3.52,63, 3. ფედია დამიანოვი და ივან ბურტჩინი (ბულგარეთი) — 3.58,10.

## ოლიმპიური მოზაიკა

ოლიმპიურ სოფელში ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ პოლიციელთა რაოდენობა შეჯიბრების ადგილებში ერთიორად გაიზარდა. პოლიციელები გულდასმით ამოწმებენ ყველა საშვსა და ბილეთს. ზემძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაზე მიმავალ ბელგიელ ათლეტს ს. რედინგს კინაღამ მოთმინება დაეკარგა — იმდენ ხანს ათვალიერებდნენ მის საშვს. ჩასკვნილი, თითქმის კვადრატული ტანის ბრიუსელელი ბიბლიოთეკარის გარეგნობამ ალბათ დააეჭვა ბავარიელი პოლიციელები. რედინგს ეწყინა კიდეც, როცა წესრიგის დამცველებმა სრულიად დაუბრკოლებლად, ღიმილით გაატარეს ვ. ალექსეევი და რ. მანგი.

ოლიმპიადაზე 60 ტელეკომპანიისა და 110 რადიოკომპანიის წარმომადგენლები არიან ჩასული, რომლებიც ასზე მეტ ქვეყანაში გადასცემენ რეპორტაჟებს იმ 33 ადგილიდან, სადაც შეჯიბრებები ტარდება. თამაშებს 900 კომენტატორი ემსახურება.

პრეს-ქალაქის მახლობლად განლაგებულია ოლიმპიური ტელერადიოცენტრი, სადაც მოთავსებულია 120 სტუდია, რედაქცია, ოთახები მონტაჟისთვის, ჩაწერისთვის. რეპორტაჟებს 80 ენაზე გადასცემენ.

ამერიკელი მოცურავის რ. დემონტის საქმის განხილვისას აშშ-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დემონტმა შეჯიბრების წინ დოპინგი კი არა, ასთმის წამალი დალია. როცა კომპეტენტურმა ექიმებმა თვით სპორტსმენს ჰკითხეს, რამდენი ხანია, რაც იგი ამ აბებს ყლაპავს, დემონტმა უპასუხა, ათი წელიწადიაო. „მაშინ, — შეესიტყვნენ ექიმები,— თუ ამ წამლის სიძლიერეს გავითვალისწინებთ, თქვენ უკვე 5 წლის წინათ არ უნდა ყოფილიყავით ცოცხალი".

დაახლოებით სამი წლის წინ დასავლეთგერმანელმა მეცნიერებმა ელექტრონული მანქანის დახმარებით განსაზღვრეს სარბენ დისტანციებზე ზღვრული შედეგები. ერთოდ, მანქანამ გამოთვალა, რომ 1500 მეტრზე ქალთა რბენაში უახლოეს ოც წელიწადში ვერავინ გადალახავს 4 წუთისა და 7 წამის ზღურბლს. და აი, კრასნოდარელმა ლ. ბრაგინამ მიუნხენში უკვე ორჯერ გაარღვია მანქანის ეს წინასწარმეტყველება, ხოლო მისი ბოლო მსოფლიო რეკორდი (4.05,1) ახლოც კი არ მიდის მანქანის გამოთვლილ დროსთან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საცხენოსნო სპორტი, როგორც წესი, „რჩეულთა" ხვედრია. მაგალითისთვის: გფრ-ის გუნდში გამოდიან რამდენიმე მსხვილი საწარმო დაწესებულების მფლობელი ლ. ლიხენკოფი, დიდი უნივერსალური მაღაზიების განშტოებული ქსელის პატრონი ი. ნეკერმანი და დიასახლისი კ. შლიუგერი, რომლის მეუღლე მდიდარ ქონებას ფლობს.

XXXIV

**8 სექტემბერი**

„ლოკომოტივი" — „დინამო" (თბილისი) 2:2.

„დინამო" (მინსკი) — „ნეფთჩი" 1:1.

„ზენიტი" — „დნეპრი" 2:2.

## უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 9 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 19 | 11 | 5 | 3 | 32—15 | 27 |
| ცსკა | 21 | 12 | 3 | 6 | 27—21 | 27 |
| „არარატი" | 20 | 9 | 6 | 5 | 29—17 | 24 |
| „დინ." (მნ.) | 21 | 7 | 9 | 5 | 22—19 | 23 |
| „დინ." (თბ.) | 20 | 8 | 7 | 5 | 23—21 | 23 |
| „დნეპრი" | 21 | 6 | 10 | 5 | 26—26 | 22 |
| „დინ." (კ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 30—24 | 21 |
| „დინ." (მ.) | 19 | 9 | 3 | 7 | 26—20 | 21 |
| „ზენიტი" | 22 | 6 | 9 | 7 | 24—24 | 21 |
| „ტორპედო" | 20 | 7 | 6 | 7 | 20—26 | 20 |
| ასკ | 21 | 6 | 7 | 8 | 23—26 | 19 |
| „კარპატი" | 20 | 7 | 5 | 8 | 18—22 | 19 |
| „სპარტაკი" | 19 | 6 | 5 | 8 | 22—21 | 17 |
| „ყაირათი" | 21 | 2 | 12 | 7 | 12—21 | 16 |
| „ლოკომოტ." | 22 | 3 | 7 | 12 | 21—33 | 13 |
| „ნეფთჩი" | 21 | 4 | 5 | 12 | 17—36 | 13 |

# გარჯის ნაყოფი

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში და სკოლებში მომუშავე 45 ფიზკულტურულ კოლექტივში 3 ათასამდე ენთუზიასტია გაერთიანებული. ისინი აქტიურად მონაწილეობენ რაიონის, ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. რაიონში მხოლოდ შარშან მომზადებულია 837 თანრიგოსანი, 1171 ნიშნოსანი, 322 საზოგადოებრივი მწვრთნელი და ინსტრუქტორი, 119 მსაჯი და სხვ. კადრების მომზადებას 22 სპეციალისტი ემსახურება.

ასპინძელთა ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების მესაჭეა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და მისი თავკაცი ვ. ცინაძე. მას რაიონში ყველა იცნობს, როგორც პატიოსან, პრინციპულ მუშაკს, კარგ სპეციალისტს, აღმზრდელსა და გულისხმიერ ადამიანს. ეს ავტორიტეტი ცინაძემ მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებითა და მუყაითი გარჯით მოიპოვა.

ასპინძელები ხშირად ასპარეზობენ ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, შაშში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში და სხვა სახეობებში. ნორჩმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს „ტყავის ბურთის" პრიზის ზონალურ გათამაშებაში და ფინალური ტურნირის საგზურები მოიპოვეს. კარგ შედეგებს მიაღწიეს „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" რაისაბჭოების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმები.

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა თათბირ-სემინარზე ფიზაღზრდის მასწავლებლებისა და ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენა.

მონდომებული მუშაობის შედეგია, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი ზედიზედ აღწევს წარმატებას რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციათა სოციალისტურ შეჯიბრებაში. შარშან 12 ფიზკულტურულ კოლექტივთან ერთად ასპინძის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით, ხოლო მისი თავმჯდომარე ვ. ცინაძე მუშაობის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის — საპატიო სიგელითა და ერთი თვის ხელფასით.

ასპინძის რაიონის ახალგაზრდობა, ფიზკულტურული აქტივი საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. აქაურ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს მიმზიდველი გეგმები აქვთ. ბევრი საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისთვის. გვჯერა, რომ მონდომებული მუშაობით რაიონის ფიზკულტურელები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

**ნ. ცისკარაძე,**
**გაზეთ „ასპინძის" რედაქციის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე.**

# ექიმი თანახმაა: —სტარტზე!

**ჩვენი საკონსულტაციო ექიმებთან**

მეექვსე თვეა საბჭოთა ქვეყანაში დააბიჯებს მშდ-ს ახალი კომპლექსი, რომელიც იზიდავს მილიონობით ახალბედა ფიზკულტურელსა და გამოცდილ სპორტსმენს, ჭაბუკსა და ხანდაზმულ მშრომელს. ფიზკულტურასთან დაახლოება, ისევე როგორც სწავლა, არასოდეს არ არის გვიან, მაგრამ... „მაგრამ" აუცილებელია, რათა ახალბედა, როგორც ექიმები იტყვიან, „პრაქტიკულად ჯანმრთელი" იყოს.

მედიცინის წარმომადგენლები მწვრთნელებთან ერთად პირველნი იძლევიან რჩევა-დარიგებებს ვარჯიშების ახალი, ყველაზე რაციონალური მეთოდების შემუშავებაში. მათვე ეკუთვნით გადამწყვეტი სიტყვაც მშდ კომპლექსის პირველი სტარტის წინ.

— დიახ, ასეა, — თქვა ხაკდეხის კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა ს. ივანოვმა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა. — მედიცინა და ფიზკულტურა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის პირველივე დღეებიდან მტკიცედაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

„საექიმო კონტროლის გარეშე საბჭოთა ფიზიკური კულტურა არ არსებობს", — ეს სიტყვები ეკუთვნის ჯანმრთელობის დაცვის პირველ სახალხო კომისარს ნ. სემაშკოს. სიმბოლურია ისიც, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი თავის დროზე რსფსრ-ს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო.

მშდ ახალი კომპლექსის უპირველესი მიზანია საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცება.

კომპლექსის ძალაში შესვლის პირველივე დღეებში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბ. პეტროვსკიმ გამოსცა ბრძანება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ახალი კომპლექსის ცხოვრებაში გატარება მედიცინის მუშაკთა ღვიძლი საქმეა, მათი მუშაობის დევიზია. მშდ კომპლექსის ნორმატივების არც ერთი ჩამბარებელი ექიმის „უყურადღებოდ" არ დარჩება.

მუშაობის მასშტაბი უდიდესია. 1940 წელს საბჭოთა ქვეყანაში 6,3 მილიონი ფიზკულტურელი და სპორტსმენი იყო, 1950 წელს — 14,2 მილიონი, 1960 წელს — 30 მილიონი, ხოლო 1970 წელს — დაახლოებით 50 მილიონი.

ძნელია საექიმო კონტროლით მოიცვა ასეთი „არმია". ამ მუშაობითაა დაკავებული საბჭოური სამედიცინო დაწესებულებების ქსელი — პოლიკლინიკები, ხაფერშლო პუნქტები, საავადმყოფოები.

ახალბედა ფიზკულტურელების საექიმო კონტროლის სისტემის „დასაყრდენ პუნქტებს" წარმოადგენენ საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერები. აქ არის ყველაფერი აუცილებელი ფუნქციონალური დიაგნოსტიკისთვის—მოწყობილობა, გამოცდილი პერსონალი. 20 წლის მანძილზე (პირველი საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი 1951 წელს გაიხსნა) მათ დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში. საქლეისოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში უკვე 815 საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი მუშაობს.

მათი როლი ძალიან დიდია იმიტომაც, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივების ბევრი ჩამბარებლისთვის ეს სტარტები ცხოვრებაში პირველია. ასეთ დროს მეტად მნიშვნელოვანია მიიღო კონსულტაცია ექიმისგან სპორტული ჰიგიენის, თვითკონტროლის შესახებ, საკუთარ ორგანიზმზე მეთვალყურეობის მეთოდებზე, შემდეგ ეს ცოდნა არაერთხელ გამოდგება და არა მარტო სტადიონზე.

ახალი კომპლექსი მნიშვნელოვანწილად ბავშვებისთვის ზრუნვას ითვალისწინებს. აუცილებელია ბავშვის ორგანიზმის სპეციფიკის მხედველობაში მიღება იმ დროს, როცა წყდება მშდ-ს სტარტებზე მისი გასვლის საკითხი. აქ კი რაიონული პოლიკლინიკების, საავადმყოფოების ექიმები არსებით დახმარებას უწევენ საექიმო ფიზკულტურული (მათს რიცხვში — სპეციალიზებული საბავშვო) დისპანსერების გამოცდილი მუშაკები.

— თუმცა, ექიმის მისია ცნობის გაცემით არ შემოიფარგლება, ექიმი მნიშვნელოვანი ფიგურაა სტადიონზეც. მაგალითად, ნორმატივების ჩამბარებლები ზოგჯერ დაშავდებიან ხოლმე. თვითკონტროლის ანბანი მაინც რომ იცოდნენ, ეს არ მოხდება.

საექიმო-სამედიცინო კონტროლის სფეროში მუშაობის კოორდინაცია ევალება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საზოგადოებრივ საბჭოს, რომელიც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთანაა შექმნილი. მას სათავეში ჩაუდგა მინისტრის მოადგილე ა. სერენკო.

ჩვენ, „თეთრხალათიან ხალხსაც". გვიზიდავს სპორტი. თქვენ ალბათ იცით, რომ ახალი კომპლექსის პირველ ნიშნოსანთა შორისაა მოსკოველ მედიცინის მუშაკთა ჯგუფი — მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ლოპუხინი, ამ ინსტიტუტის პროფესორი ფ. ორეშჩუკი, სპორტული ტრავმატოლოგიის დიდი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზ. მირონოვა და სხვები.



მისადგომებთან.

ლ. ბელიაევის (დნეპროპეტროვსკი) ფოტო.

# სახელოვანი სტუმარი

ამას წინათ მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი ცხაკაიას ესტუმრა. მასპინძლებმა სახელოვან მოჭადრაკეს სახალხო თეატრში მოუწყვეს შეხვედრა.

გულთბილი მისალმებების მერე ბოტვინიკმა ილაპარაკა საჭადრაკო სამყაროს ამბებზე და ბევრ შეკითხვაზე გასცა პასუხი.

დასასრულს დიდოსტატმა ოც დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა: 17 პარტია მოიგო, სამი კი ყაიმით დაამთავრა (გ. აბულაძესთან, ვ. გორდეზიანთან და მ. თეთრქალაშვილთან).

**ე. გუგუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხაკაია.

# სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული გ. კაკაბაძის (თბილისი) სამსვლიანი საჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: ლ. ხუნწელიამ, ჯ. სულუხიამ (ორივე — წულუკიძე), ნ. ერემაძემ (რუსთავი), რ. გოზალიშვილმა (წნორი), რ. ჭალაგანიძემ (გეგეჭკორი), ზ. თაბაგარმა, რ. გურჯლმა (ორივე — ზესტაფონი), ვ. ნიშნიანიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ახალი თერჯოლა), ი. კანდელაკიშვილმა, თ. ჩალაბაშვილმა (ორივე — სიღნაღის რაიონი, სოფ. ძველი ანაგა), რ. მენაბდემ (თბილისი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. ეh8 მფc3 (მფe3) 2. ეh2 (ეh4).

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**



ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-50, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

# [illegible]-72

● ავრონცო (იტალია), 7 სექტემბერი. წყალსამოტორო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე მინსკელმა ე. რადკომ ოქროს მედალი მოიპოვა ოვ-350 სკუტერების კლასში. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ტურნირებში ჯერ არც ერთ საბჭოთა სპორტსმენს არ მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის.

● დოლგოპრუდნი (მოსკოვის ოლქი), 7 სექტემბერი. ქელეზნიაკოვის პრიზზე წყალმოთხილამურეთა ტრადიციულ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გ. ლიტვინოვამ საკავშირო უმაღლესი მიღწევა დაამყარა ტრამპლინიდან ხტომაში — 24,8 მ.

# კარგი შედეგით

ვანკუვერი, 8 სექტემბერი. სსრ კავშირის ნაკრებმა კანადური ტურნე — მასპინძელი ქვეყნის საუკეთესო ჰოკეისტებთან შეხვედრები დღეს აქ გამართული მატჩით დაამთავრა.

„წყნარი ოკეანის კოლიზეუმის" ყინულზე გაჩაღებულმა მძაფრმა ბრძოლამ უამრავი მაყურებელი მიიზიდა. სტუმრებმა საუცხოოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3 (2:0, 2:1, 1:2). შაიბები გაიტანეს: გამარჯვებულთაგან — მიხაილოვმა (2), ბლინოვმა, ვიკულოვმა და შადრინმა; მასპინძელთაგან — პერომ, გოლსუორსიმ და დ. ჰალმა.

ჰოკეის სამშობლოდან საბჭოთა სპორტსმენები კარგი შედეგით ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში: მათ კანადელებს ორი შეხვედრა მოუგეს (7:3, 5:3), ერთ თამაშში დამარცხდნენ (1:4) და ერთიც ფრედ (4:4) დაამთავრეს.